გოჩა ნანიტაშვილი

კლასტერული პოლიტიკა როგორც რეგიონის ეკონომიკის განვითარების საფუძველი

გოჩა ნანიტაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს რეგიონებში ტერიტორიული კლასტერების განვითარება არის ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და განვითარების ინოვაციური გზის უზრუნველყოფის უმთავრესი პირობა. სტატიაში განხილულია საქართველოში კლასტერების ფორმირებისა და განვითარების ძირითადი პრობლემები და დახასიათებულია საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების მიმართულება კლასტერული პოლიტიკის სტრატეგიის რეალიზაციის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: კლასტერი, კლასტერული პოლიტიკა, ინოვაცია.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკაში კლასტერი წარმოადგენს გარკვეულ ტერიტორიაზე კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელი კომპანიების დაჯგუფებას, რომლებიც აძლიერებენ ერთმანეთისა და მთლიანად კლასტერის კონკურენტულ უპირატესობებს.

კლასტერული პოლიტიკა კი წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან კლასტერის მხარდამჭერი ზომებისა და მექანიზმების ერთობლიობას, რაც ამაღლებს კლასტერში შემავალი რეგიონებისა და საწარმოების კონკურენტუნარიანობას და უზრუნველყოფს ინოვაციების დანერგვას.

საქართველოში კლასტერული განვითარების ელემენტები ჩადებულია გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამაში 2020, რამაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებულ კლასტერული ინიციატივების რეგიონში მხარდამჭერ მეთოდურ რეკომენდაციებში პოვა თავისი ასახვა.

კლასტერთა აქტივაცია და განვითარება წარმოადგენს ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისადმი ახლებურ მიდგომას. კლასტერული პოლიტიკა სწრაფად მზარდი პოპულარობით სარგებლობს საზღვარგარეთის ქვეყნებში და საქართველოშიც. მაგრამ დღემდე არ არის ჩამოყალიბებული საერთო აზრი კლასტერული პოლიტიკის სპეციფიკისა და ადგილის შესახებსახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტთა შორის. მაგალითად, საქართველოში ჯერ კიდევ სუსტად არის გამოყენებული კლასტერების აქტივაციისა და განვითარების ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტები.

დარგობრივი შემადგენელის გარდა, კლასტერის ფორმირებას ესაჭიროება კლასტერის მონაწილეთა შორის ინოვაციურად ორიენტირებული მჭიდრო ურთიერთქმედებათა არსებობა.

ტრადიციული სამრეწველო პოლიტიკა, რომლის შემუშავება, ასე თუ ისე, ყოველწლიურად ხდება, გულისხმობს სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტული დარგების არჩევას, ხოლო კლასტერული პოლიტიკა, - პირიქით, - ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ **ყველა არსებული სამეურნეო აგლომერაცია პრიორიტეტულს წარმოადგენს**.

რეალობაა ის, რომ ნებისმიერ რეგიონში არსებობს სივრცე, რომელშიც შესაძლებელია წარმატებული და უნიკალური როლის მქონე კლასტერების გაადგილება. ამდენად, კლასტერული პოლიტიკა, ეხმაურება რა რეგიონის ეკონომიკურ სტრუქტურას, ხელს უწყობს რეგიონის პოტენციალის უფრო ღრმა წვდომას და არსებულ შესაძლებლობათა უფრო ფართო, მრავალმხრივ რეალიზებას.

სპეციალური რაციონალური მოკლევადიანი სამრეწველო პოლიტიკა ქმნის კლასტერის ფორმირების წინაპირობებს, ამის შემდეგ კი ხდება სამრეწველო და კლასტერული პოლიტიკის, როგორც ურთიერთშემავსებელი ფაქტორების, გააზრება და გათავისება. თავდაპირველად საჭირო ხდება სამრეწველო ზონების

შექმნა, რომელთა საჭიროებების მიხედვით იქმნება მრეწველობისათვის აუცილებელი პირობები - უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი და საქმიანი ინსტიტუტები, ადამიანური რესურსები და სოციალური გარემო, რომელიც ზემოქმედებს ცხოვრების ხარისხზე.

კლასტერის ფორმირება მოითხოვს რეგიონში ახალი მაპროფილებელი სასწავლო უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების შექმნას ანდა უკვე არსებულის აქტივიზაციას, ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირებას, მეცნიერებატევადი სერვისების მწარმოებელი ადგილობრივი ფირმების რაოდენობის ზრდას. ინოვაციური აქტიურობის ზრდის ამოცანა ამ შემთხვევაში ხდება სამეურნეო აგლომერაციის განვითარების მოთხოვნების პროპორციული.

ამავე დროს, რთულია ინოვაციებზე ორიენტირებულ ურთიერთქმედებებზე საუბარი, თუ რეგიონში საერთოდ არ არსებობს რომელიმე მნიშვნელოვანი საწარმო და დარგი, ვინაიდან კლასტერის ფორმირებას ბევრად უშლის ხელს ფიზიკური ინფრასტრუქტურის ბაზების არარსებობა. ეს პრობლემა დამახასიათებელი საქართველოს ზოგიერთი რეგიონისათვის, რომელთა შემთხვევაში კლასტერულ პოლიტიკაზე საუბარი სრულიად შეუძლებელია. ვთვლით, რომ ამ რეგიონების მიმართ თავდაპირველად უნდა იქნას გატარებული გონიერი სამრეწველო პოლიტიკა, ხოლო ინოვაციურ ეკონომიკაზე აუხდენელი ოცნებები მავნებელიც კია.

სახელმწიფოს ადგილი კლასტერების აქტივაციასა და განვითრებაში მდგომარეობს იმაში, რომ იგი გვევლინება საკუთარი სპეციფიკური ფუნქციების მქონე სამთაგან ერთერთი მონაწილის სახით. ასეთ მიდგომას უცხოურ ლიტერატურაში ეწოდება „სამმაგი სპირალის კონცეფცია“. მიდგომის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ინოვაციური განვითარება შეიძლება იქნას უზრუნველყოფილი სახელმწიფოს, ბიზნესისა და მეცნიერების ერთობლივი ძალისხმევის საფუძველზე.

სახელმწიფო, განსაკუთრებით, რეგიონული ორგანიზაციების როლი კალსტერის აქტივიზაცია-განვითარებაში უდიდესია. სახელმწიფოს ხელეწიფება და ამიტომ უნდა ქმნიდეს ხელშემწყობ პირობებს კლასტერის დამოუკიდებლად წარმოქმისა და შემდგომი ზრდისათვის.

ქ. თბილისი, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა და ქვემო ქართლი არის ის რეგიონები, რომელშიც არსებობს ყველა წინაპირობა კლასტერული სისტემის განვითარებიათვის, რათა ჩაეყაროს საფუძველი ინოვაციური ქართული ეკონომიკის უახლეს ტიპს. კლასტერების ფორმირების პოტენციალი ჩადებულია ამ რეგიონების სპეციალიზაციის ყველაზე კონკურენტუნარიან სექტორებში, ესაა: ტურიზმი და რეკრეაცია, მეტალურგია, ქიმია, ლითონდამუშავება, სამშენებლო მასალები, კვების მრეწველობა, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, სამედიცინო ტექნოლოგიები.

კლასტერების ფორმირების გამაერთიანებელ საფუძველს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს საწარმოების ტექნოლოგიური ბაზის შექმნა და ინოვაციების განვითარება. ამისათვის აუცილებელია იმ ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც სპეციალურად შექმნილი და განვითარებული ინსტიტუტების მეშვეობით ზრდის აღნიშნული რეგიონების პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. ამდენად, თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებში კლასტერების შექმნა პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ ამ რეგიონების იმიჯზეც ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ.

რეგიონული კლასტერების შექმნისათვის აუცილებელია ადგილობრივი ადმინისტრაციისა და ბიზნეს-სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული პროგრამების შექმნა და განხორციელება. ანუ აუცილებელია მართვის ცენტრალური და რეგიონული აღმასრულებელი ორგანოების შეთანხმებული ქმედებების ორგანიზება განვითარების კლასტერული ინსტრუმენტების სისტემურ დონეზე აყვანის მიზნით. გარდა ამისა, კონსტრუქციული ურთიერთქმედების საფუძველზე უნდა იქნას შემუშავებული კლასტერული ინიციატივებისა და კლასტერული ორგანიზაციების სახელმწიფო მხადაჭერის კონკრეტული მექანიზმი, მიღებულ იქნას საქართველოს კლასტერული პოლიტიკის კონცეფცია, როგორც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის ორგანული ნაწილი და განხორციელდეს რეალური ქმედებები ახალი სამრეწველო გარემოს შექმნისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Rosenfeld S.A. Bringing Business Clusters into the Mainstream of Economic Development // European Planning Studies, Nr. 5,2017.
2. Miles, I. April 2001. ”Services Innovation: A Reconfiguration of Innovation Studies”, Discussion Paper Series, The University of Manchester.
3. Dunnig J.H. The globalization of business: the challenge of the 2009; New York: Routledge,2013;
4. Maskell, P. and Malmberg, A. 1999. “Localised Learning and Industrial Competitiveness”, Cambridge Journal of Economics, 23.
5. Enright, Michael J. “Regional Clusters: What We Know and What We Should Know.” May 2002.
6. Simmie J, Sennet J. 1999. October. Innovative clusters: global or local linkages? // National Institute Economic Review. No. 170. – p.87
7. საქართველოს კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2018Strategy Partners Group

Cluster Policy as a Basis for the Development of the Regional Economy

Gocha Nanitashvili
The Doctoral Student of GTU

Summary

Development of regional clusters in the regions of Georgia is one of the most important conditions for improving the competitiveness of the Georgian economy and ensuring innovative ways for its development. The author considered the basic problems of formation and development of clusters in Georgia and described the main directions of economic development of Georgia through effective implementation of the strategy of cluster policy.

Keywords:cluster, clusterpolicy, innovations